ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/18166/1-16 24 12 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ლისის ტბის მიმდებარედ №4-ში, (საკ.კოდი №01.14.16.012.011) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის რეკონსტრუქცია (დაშენება, გადაგეგმარება)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ლისის ტბის მიმდებარედ №4-ში, (საკ.კოდი №01.14.16.012.011) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-9“ ფასადზე: „2-8“ მონაკვეთში გაზრდილია კაპიტალური საყვავილეების სიგრძე. „4-6“ მონაკვეთში გარე კიბესთან დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. ამავე მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟების სიგანე დაახლოებით 0.20მ-ით და მათ შორის შუაკედლისი მოპირკეთებულია ალიკობონდით, ხოლო ამავე ვიტრაჟების თავზე საჩრდილობელი აწეულია ზევით დაახლოებით 0.25მ-ით. „3-5“ მონაკვეთში „+16.80“ ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ღიობი და აირგამწოვი მილი. „7-8“ მონაკვეთში ამავე ნიშნულზე ფრამუგაზე და სავენტილაციო ღიობზე დამატებით მოწყობილია გისოსი.

„9-1“ ფასადზე: „9-1“ მონაკვეთში პირველ სართულზე გაზრდილია ყველა ფანჯრის სიმაღლე თითო დაახლოებით 0.15მ-ით. „5-4“ მონაკვეთში მეტალის კარი შემცირებულია სიმაღლეში დაახლოებით 0.30მ-ით და მონაცვლებული აქვს ადგილი „4-4“ ღერძისკენ. „4-1“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ცხაური. „2-1“ მონაკვეთში „+15.70“ ნიშნულის ზევით სავენტილაციო ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი მარჯვნივ და შემცირებულია გაბარიტი. „9-8“ და „2-1“ მონაკვეთებში „+19.02“ ნიშნულზე გაზრდილია კაპიტალური კედლების სიგრძე. „8-6“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ღიობი და გამწოვი მილი. ასევე დამატებით მოწყობილია კონდენციონერები და წყალშემკრები მილები.

„ა-დ“ ფასადზე: პირველ სართულზე შენობაში შესასვლელ კართან შემცირებულია პანდუსის სიმაღლე, რის გამოც კარი დაწეულია ქვევით. „ა-ა“ ღერძის გარეთ შემცირებულია მინის საჩრდილობლის სიგრძე და მის ქვეშ ლითონის დეტალი არ ემთხვევა საპროექტოს. „+16.80“ ნიშნულზე შემცირებულია კარის სიმაღლე დაახლოებით 0.20მ-ით, შეცვლილია ნახატი და მის გვერდით ფრამუგაზე მოწყობილია ცხაური. „ბ-გ“ მონაკვეთში ამავე ნიშნულზე ფრამუგები აწეულია ზევით და მასზე მოწყობილია ცხაური და მის მიმდებარედ კედელში მოწყობილია მცირე ზომის ღიობი.

„დ-ა“ ფასადზე: „დ-გ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი და სავენტილაციო ღიობი. „ბ-ა“ მონაკვეთში „+16.80“ ნიშნულზე ფრამუგას მონაცვლებული აქვს ადგილი და მასზე მოწყობილია გისოსი.

ფასადებზე დამატებით შესრულებულია ლესვის ზოგიერთი სამუშაოები და ემთხვევა საპროექტოს.

მეორე სართულის გეგმაზე: „4-6“ მონაკვეთში გაზრდილია საყვავილეების სიგრძე დაახლოებით 1.50მ-ით.

მეხუთე და მეექვსე სართულის გეგმაზე: ღერძებზე ნაცვლად ფანჯრებისა ანალოგიურად მოწყობილია შველერები, ხოლო „+16.80“ ნიშნულზე ფილის ქვეშ ასევე მოწყობილია შველერები.

სახურავზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები. გაზრდილია სამანქანოების სიმაღლე.

შენობის წინა მხარეს მოწყობილია ბაქნები და მასზე განთავსებულია გენერატორი და ტრანსფორმატორი, ხოლო შენობის უკან დამატებით მოწყობილია საყრდენი კედელი და გაცდენილია წითელ ხაზებს.
შენობის ნაწილი გაცდენილია საკადასტრო წითელ ხაზებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს „უჯრედული ტექნოლოგიების და თერაპიის ცენტრი"-ს, გიორგი ლოლაძეს ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ლისის ტბის მიმდებარედ №4-ში, (საკ.კოდი №01.14.16.012.011) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის რეკონსტრუქცია (დაშენება, გადაგეგმარება)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/181661-16 03.12.2012წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე ზ. მუჯირიშვილი

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 78396

№ 12/181661-16 30 01 2013 წ.

შ.პ.ს. „უკრედული ტექნოლოგიების და თერაპიის ცენტრი“-ს, გიორგი ლოლაძეს
მის: ლისის ტბის მიმდებარედ №4
ტელ: 599 804805

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული თქვენი სექტორი – ვაკე, ლისის ტბის მიმდებარედ №4-ში მდებარე სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას დარღვეულია და არ არის შესრულებული სამშენებლო დოკუმენტაციით განსაზღვრული სანებართვო პირობების გამოც სამსახურის №ბ-12/181661-16 24.12.2012წ. ბრძანებით უარი გეთქვათ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე. ზემოაღნიშნული დარღვევების გამოსწორებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების საკითხი.

დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენი კუთვნილი შენობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით შეგიძლიათ სამსახურში წარმოადგინოთ სანებართვო პირობების დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და სამსახურის №ბ-12/181661-16 24.12.2012წ. ბრძანებაში მითითებული დარღვევების დადასტურების შესახებ ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. „თბილისის არქიტექტურის სამსახური“-ს წერილობითი დასტური, რითაც მნიშვნელოვნად დაზოგავთ პროექტის კორექტირებისთვის საჭირო ხარჯებს და დროს. აღნიშნული სიახლე „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილებაში 2012 წლის 18 ივნისს იქნა შეტანილი და ცვლილებებით გამარტივდა პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის და ექსპლუატაციაში მიღების პროცედურა. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი განცხადებით მიმართავს ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. „თბილისის არქიტექტურის სამსახურს“ და წარადგენს ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს, აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია არქიტექტურული პროექტის კორექტირების გარეშე იმსჯელოს უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე.

სამსახურის უფროსის მოადგილე ვ. მუ[illegible]შვილი

საკონტაქტო პირი:
599 021004 – თამაზ ჩახუნაშვილი

ქალაქ თბილისის მერია

2323024
12/14115214-16
01.05.2014

გიორგი ლოლაძე (01024009061),
თბილისი ბახტრიონის ქ. კორ. 1 ბ. 104

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში 25.04.2014წ. შემოსული თქვენი #12/14097116-16 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სამსახურის 24.12.2012წ. #ბ-12/181661-16 ბრძანებაში მითითებული დარღვევა - ,,შენობის ნაწილი გაცდენილია წითელ ხაზებს" - გამოსწორებულია.

თბილისის მერია / ქ. თბილისის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

ვასილი მუჯირიშვილი